ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 290

"13" სექტემბერი 2019 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრზე მდებარე 1367 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.007.615), ქ. თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ 2173 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.11.001.168) და ქ. თბილისში, წურწუმიასა და ნ. ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.050.017) შპს „კაზ ფროფერთი მენეჯმენტ ისთ"-ისთვის (ს/კ 404520363) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №130 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და საიჯარო პირობების დარღვევის გამო დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოს პატიების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ" და „დ.ზ" ქვეპუნქტების, ამავე კოდექსის 127[2] მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის, მე-14 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრზე მდებარე 1367 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.007.615), ქ.თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ 2173 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.11.001.168), ქ.თბილისში, წურწუმიასა და ნ.ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.050.017) შპს „კაზ ფროფერთი მენეჯმენტ ისთ"-ისთვის (ს/კ: 404520363) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 11 იანვრის №02.16.32 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და ამავე განკარგულებით განსაზღვრული საიჯარო პირობების დარღვევის გამო დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოს პატიების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 4 სექტემბრის №19.926.1207

განკარგულების შესაბამისად შევიდეს ცვლილება „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრზე მდებარე 1367 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.007.615), ქ. თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ 2173 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.11.001.168) და ქ. თბილისში, წურწუმიასა და ნ. ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.050.017) შპს „კაზ ფროფერთი მენეჯმენტ ისთ"-ისთვის (ს/კ 404520363) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №130 განკარგულებით განსაზღვრულ საიჯარო პირობებში თანდართული რედაქციით.

2. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრზე მდებარე 1367 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.007.615), ქ.თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ 2173 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.11.001.168), ქ.თბილისში, წურწუმიასა და ნ.ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.050.017) შპს „კაზ ფროფერთი მენეჯმენტ ისთ"-ისთვის (ს/კ 404520363) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 11 იანვრის №02.16.32 განკარგულებით განსაზღვრული საიჯარო პირობების მე-20 მუხლის 20.6 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის/დარღვევის გამო, ამავე პირობების 22-ე მუხლის 22.2 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს ,,კაზ ფროფერთი მენეჯმენტ ისთ''-ის (ს/კ 404520363) გათავისუფლების თაობაზე.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**